



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა
(CPV 66500000)

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

დაბა ჩაქვი
6 დეკემბერი, 2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	4
3. დამატებითი ინფორმაცია.....	5
4. აფიდავიტი.....	6
5.პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართიN1.....	7
6. ტექნიკური დავალება დანართი N2	8
7. ფასის ცხრილი დანართი N3	9
8. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	10

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

1.2. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5. სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ა.

1.6. სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას.

1.7. მიმწოდებელი ვალდებულია სისტემაში სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ

1.8. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.9. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტი, მიწოდების ვადა, მომსახურების არიალი.

2.1.1 შესყიდვის ობიექტია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული 18 (თრგამეტი) ერთეული მსუბიქი ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურების (CPV კოდი 66500000) სახელმწიფო შესყიდვა.

2.1.2 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 17000 (ჩვიდმეტიათასი) ლარს.

2.1.3 ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურება უნდა განხორციელდეს ტექნიკური დავალების შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1.4. სადაზღვევო მომსახურების მოქმედების არიალი უნდა მოიცავდეს: საქართველოს, დსთ -ს ქვეყნებს, თურქეთს.

2.2. ფასის გაანგარიშების წესი და ანგარიშსწორების პირობები:

2.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გათვალისწინებით.

2.2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.2.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველ მომდევნო თვეში, მომსახურების მოწოდების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან და მიღება - ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.2.5 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება.

2.2.6 დაფინანსების წყაროა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2017 წელს განსაზღვრული ასიგნება.

2.3. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.3.1. პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით.

2.3.2. შევსებული ფასების ცხრილი დანართ №2-ის მიხედვით.

(სისტემაში ატვირთული დოკუმენტები ხელმოწერილი და ბეჭედადამზადებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს ხელმძღვანელის ან პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანდართვით.)

2.3.3 ინფორმაცია ავტომობილების დაზღვევის პირობების შესახებ;

2.3.4 ინფორმაცია ზარალის ანაზღაურების განსაკუთრებული პირობის შესახებ;

2.3.5 ინფორმაცია ზარალის ანაზღაურების ვადების და პირობების შესახებ;

2.3.6 ინფორმაცია ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში ავტომობილების და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის (მტკლ) დაზღვევაში მოზიდული პრემიის ოდენობის და ანაზღაურებული ზარალების ოდენობის შესახებ.

2.4. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება

2.4.1. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტიდ მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით), საბანკო ამონაწერით სადაც მონიშნული იქნება წარმოდგენილი ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული გადახდები, ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელსაც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. აღნიშნული დასაბუთების წარმოდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.5. ტექნიკური დავალება

2.5.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა მოიცავს დანართი №2-ში (ტექნიკურ დავალება) მითითებულ უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხულ 18(თრვამეთი) ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალების სრულ დაზღვევას.

2.5.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრული დაზღვევა ითვალისწინებს:

- ავტომობილის გატაცებას, ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას;
- ავტომობილის დაზიანებას ან განადგურებას (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, სეტყვით ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);
- დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობას;
- ავტოსატრანსპორტის ეაკუაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევას - 10000 (ათი ათასი) ლარი;
- ავტომობილების შეფასებას და მომსახურების გაწევას შემსყიდველთან შეთანხმებულ ან/და შესაბამისი ავტომობილების სერვის ცენტრებში;
- ავტომობილის შეფასება და მომსახურების გაწევა ხორციელდება მხარეთა შორის ერთობლივად შეთანხმებულ შემკეთებელ საწარმოში ან/და შესაბამისი ავტომობილების სერვის ცენტრებში; ამასთან, შემსყიდველის მოთხოვნა შესაბამისი ავტომობილების სერვისცენტრებში მომსახურების მიღების თაობაზე მიმწოდებლის მიერ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტის წლოვანება არ აღემატება 2 (ორი) წელს
- ავტომობილის დაზღვევას „0“ ნულოვანი ფრანშიზით;
- სადაზღვევო მომსახურების გაწევას 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, დასვენების და უქმე დღეების ჩათვლით;
- ავტოსატრანსპორტის განადგურებად ითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება, მისი საბაზრო ღირებულების 70 % შეადგენს. სრული განადგურების შემთხვევაში იდენტური დაუზიანებელი მოძრავი ნივთის დამზღვევისათვის გადაცემისთანავე, დაზიანებული მოძრავი ნივთი საკუთრებაში გადაეცემა მზღვეველს.
- უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების დაზღვევას უბედური შემთხვევისაგან არანაკლებ 15000 ლარისა. *(უფლებამოსილ მძღოლად ითვლება: ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის მქონე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი და უმაღლესი საბჭოს აპარატის ყველა თანამშრომელი (მათ შორის, ხელშეკრულებით დაქირავებული და მოწვეული სპეციალისტები), საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე სხვა პირებიც)*
- პრეტენდენტის სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს სადაზღვევო შემთხვევის არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს, რომელიც აითვლება ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტაციის (სრულყოფილად არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან.

3. დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში მიმართვის საფუძველზე, მის: დაბა ჩაქვი, მეგენიშვილის ქუჩა №25. პასუხისმგებელი პირები: თამაზ დოლიძე, ტელ.: (032) 228 54 59 , მობ. 599944296 ;

ზვიად ფარტენაძე ტელ.: (032) 228 54 54, მობ. 577 56 56 91.

4. აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

6. ტექნიკური დავალება

6.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული 18 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული დაზღვევა ტექნიკური დოკუმენტაციის 2.5. პუნქტში (ტექნიკური დავალება) მოცემული პირობების შესაბამისად.

6.2 დასაზღვევი ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამონათვალი და დატექნიკური მონაცემები, დაზღვევის სახე და სადაზღვევო პერიოდი:

№	ავტომანქანის დასახელება	გამომგების წელი	სახელმწიფო ნომერი	ნარჩენი ღირებულება (ლარი)	დაზღვევის სახე	დაზღვევის პერიოდი
1	„ტოიოტა კამრი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-001	14681	სრული	2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით
2	„ტოიოტა ლენდკრუსერი LC200“ ბენზინი 4.0	2009 წ.	SC0410A	25210	სრული	
3	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-005	13081	სრული	
4	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-010	13081	სრული	
5	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-505	13081	სრული	
6	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-004	13081	სრული	
7	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SC1110A	13081	სრული	
8	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-007	13081	სრული	
9	„მიცუბისი ოუტლანდერი“ ბენზინი 2.4	2010 წ.	SCA-008	13081	სრული	
10	„მიცუბისი ლანსერი“ ბენზინი 2.0	2012 წ.	SC0060A	19710	სრული	
11	„კია სპორტეჯი ჯიპი“ ბენზინი 2.0	2014 წ.	SC0030A	23246	სრული	
12	„კია სპორტეჯი“ ჯიპი ბენზინი 2.0	2011 წ.	SCA - 707	14760	სრული	
13	„კია სპორტეჯი“ ჯიპი ბენზინი 2.0	2012 წ.	SCA - 588	14960	სრული	
14	„ჰიუნდაი ელანტრა“ ბენზინი 1.8	2011 წ.	SC0090A	6415	სრული	
15	„კია სერატო“ ბენზინი 1.6	2014 წ.	SC0040A	28071	სრული	
16	„მერსედეს ბენცი“ ბენზინი 2.3	1991 წ.	SCA-507	890	სრული	
17	„გრეიდ ვოლ ვინგლი 5“ ღიზელი 2.0	2012 წ.	SCA-885	14080	სრული	
18	„ფორდ ტრანზიტი“ ღიზელი 2.2	2012 წ.	SC502AU	22050	სრული	
ნარჩენი ღირებულება სულ:				275640		

7. ფასის ცხრილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული, 18 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურება 2017 წელს.

(SPA ----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პირობების შესაბამისად)

№	მომსახურების დასახელება	სატოსატრანსპორტო საშუალებების ჯამური ნარჩენი ღირებულება	დაზღვევის სახე	სადაზღვევო პრემიის ოდენობა (ლარი)		სადაზღვევო პერიოდი
				ერთ თვეში	სულ წელიწადში	
1	ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურების გაწევა (SPA ----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის 2.5 პუნქტში (ტექნიკური დავალება) და შესაბამის დანართებში მოცემული პირობების შესაბამისად.	275640	სრული			2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით
ჯამი:						

სადაზღვევო მომსახურების ღირებულება ----- ლარს
(ციფრებით და სიტყვით)

პრეტენდენტის დასახელება -----

ხელმძღვანელის ხელმოწერა -----
ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

----- დეკემბერი, 2016 წელი

8. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული

ტენდერის ჩატარების შედეგად, რომლის დაზუსტება განხორციელდება გამარტივებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად.

დაბა ჩაქვი

„-----“ დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოადგენილი აპარატის უფროსის რამაზ ბოლქვაძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოადგენილი მისი _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად და SPA----- გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ----- მიერ წარმოადგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი
- 1.8. „უფლებამოსილი მძღოლი“ - უფლებამოსილ მძღოლად ითვლებითვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის მქონე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი და უმაღლესი საბჭოს აპარატის ყველა თანამშრომელი (მათ შორის ხელშეკრულებით დაქირავებული და მოწვეული სპეციალისტები), საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე სხვა პირებიც.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული 18 (თრვამეტი) ერთეული მსუბიქი ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურება (CPV კოდი - 66500000).
- 2.2. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოცემულია დანართი №2-ში, (ტექნიკური დავალება), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის 2.5 პუნქტში და ხელშეკრულებაზე თანდართულ დაზღვევის პირობებში.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მოქმედების არიალი.

- 3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 3.2. სადაზღვევო მომსახურების მოქმედების არიალი მოიცავს: საქართველოს, დსთ -ს ქვეყნებს, თურქეთს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

- 4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (-----)ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ ფასის ცხრილში (დანართი №3), და მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისა და მხარეებს შორის მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საერთო დეპარტამენტის სატრანსპორტო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი პლატონ მანჯგალაძე და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზვიად ფარტენაძე.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მომწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	
ტელ: (+995) (032) 2285465	ტელ:
მისამართი: დაბა ჩაქვი, მეგენიეშვილის ქუჩა №25	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური	
სახაზინო ანგარიშის: № GE62TB7901736010100015	
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749	
მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“	
ბანკის კოდი: TBCBGE22	
აპარატის უფროსი:	დირექტორი:
_____ /რამაზ ბოლქვაძე/	_____ /
ბ. ა.	ბ. ა.